



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

27 მარტი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №56

ილია ვაშაყმაძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი – ილია ვაშაყმაძე მივლინებულ იქნეს ქალაქ თბილისში „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაცია“-ში 2012 წლის 28 მარტიდან 2012 წლის 29 მარტის ჩათვლით.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მივლინებაში ყოფნის პერიოდში გამგებლის მოვალეობის შესრულება დაევალოს გამგებლის მოადგილეს ლავრენტი ქვიციანიას.
3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს – ილია ვაშაყმაძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი